პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:484387 Y:4626838
X:484380 Y:4626827
X:484385 Y:4626818
თამარ წულუკიძის
სახელობის სკვერი
X:484507 Y:4626759
X:484496 Y:4626744

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032408250**
თარიღი: **22/03/2024**

როგორც მოგეხსენებათ,

მ/წლის 6 მარტის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი, გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება თქვენი კომპეტენციის ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032408969**
თარიღი: **29/03/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240961414**
თარიღი: **05/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 29.03.2024 წლის # 03-032408969 (04.03.2024 წ. #14-01240892444-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თამარ წულუკიძე

(1903-1991)

მსახიობი, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი

დაიბადა 1903 წლის 19 თებერვალს ქალაქ თბილისში. დაამთავრა თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია. აკაკი ფაღავას თეატრალური სტუდიის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

დაქორწინდა რეჟისორ სანდრო ახმეტელზე. მათი ოჯახი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა. კომუნისტურმა რეჟიმმა სანდრო ახმეტელი ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულა. მას ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციის წევრობა და ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობაც ედებოდა ბრალად. კერძოდ სხვა რესპუბლიკების ეროვნული თეატრების ხელმძღვანელობის ხელშეწყობით მეამბოხეთა სამხედრო დაჯგუფებების შექმნა ბაქოში, სოხუმში, გროზნოსა და თბილისში. რეჟისორს ლავრენტი ბერიას და იოსებ სტალინის ფიზიკური განადგურების მცდელობაც ბრალდებოდა. საბჭოთა რეჟიმმა სანდრო ახმეტელთან ერთად მისი მეუღლე თამარ წულუკიძეც დააპატიმრა.1937 წელს სანდრო ახმეტელს დახვრეტა, ხოლო თამარ წულუკიძეს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მათი რეაბილიტაცია 1956 წლის 11 თებერვალს მოხდა.